საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიში

გამომცემელი:
სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“
3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5
ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge
https://facebook.com/sakpatenti.ge/

ISBN 978-9941-0-1059-0

© საქპატენტი, 2016
ყველა უფლება დაცულია

რა არის მცენარის ჯიში?

მცენარეთა ჯგუფი, ცნობილი ბოტანიკური ტაქსონის უდაბლესი საფეხურის ფარგლებში, რომელიც, მიუხედავად იმისა, აკმაყოფილებს თუ არა სრულად სელექციონერის უფლების მინიჭების პირობებს, შესაძლებელია განისაზღვროს მოცემული გენოტიპით ან გენოტიპთა კომბინაციით განპირობებულ მახასიათებელთა გამომჟღავნებით, განსხვავდება სხვა მცენარეთა ჯგუფებისაგან მითითებული განპირობებული მახასიათებლებიდან, სულ მცირე, ერთის გამომჟღავნებით და შეიძლება განხილულ იქნეს მთლიანად მისი უცვლელად კვლავ წარმოებისათვის გამოდგომის თვალსაზრისით.

რა არის ცხოველის ჯიში?

ცხოველთა ჯგუფი, რომელსაც, დაცვისუნარიანობის მიუხედავად, აქვს გენეტიკურად განპირობებული კონსტიტუციურ-ექსტერიერული ნიშან-თვისებები, ამასთანავე, ზოგი მათგანი სპეციფიკურია და განასხვავებს მას სხვა ცხოველთა ჯგუფებისაგან. ჯიში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მდედრი ან მამრი ინდივიდით ან სანაშენე მასალით.

რა არის მოწმობა?

სელექციონერისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული განსაკუთრებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რა შემთხვევაში რეგისტრირდება ჯიში?

რეგისტრირდება და მოწმობა გაიცემა, თუ ის აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს: სიახლეს, განსხვავებულობას, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობას.

ჯიში:

- ახალია, თუ განაცხადის საქპატენტში შეტანის დღისათვის ამ ჯიშის გასამრავლებელი მასალა სელექციონერის მიერ ან მისი თანხმობით არ გასხვისებულა გამოყენებისათვის;
- განსხვავებულია, თუ იგი ნათლად განირჩევა სხვა ჯიშებისაგან, რომლის არსებობაც საყოველთაოდ ცნობილია;
- ერთგვაროვანია, თუ იგი ძირითადი ნიშან-თვისებებით ერთგვაროვანია და ერთ თაობაში ძირითადი კონსტიტუციურ-ექსტერიური ნიშან-თვისებებით საკმარისად ერთნაირია;
- სტაბილურია, თუ მისი ძირითადი ნიშან-თვისებები თაობაში უცვლელი რჩება.

რა არის პრიორიტეტი და რა თარიღით ხდება მისი დადგენა?

უპირატესობა, რომელიც ენიჭება კანონით დადგენილი ყველა აუცილებელი მონაცემის შემცველ (სწორად გაფორმებულ) განაცხადს ინტელექტუალური საკუთრების უწყებაში მისი შეტანის თარიღიდან (პრიორიტეტის თარიღიდან) განაცხადების მიმართ, რომლებიც ამ თარიღის შემდეგაა შეტანილი. პრიორიტეტის თარიღის შემდგომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმის გასაბათილებლად მხედ-ველობაში არ მიიღება.

ახალი ჯიშების საერთაშორისო კონვენციის (UPOV) განმცხადებლებს, ასევე, შეუძლიათ ისარგებლონ საკონვენციო პრიორიტეტით, როდესაც სურთ მოიპოვონ სელექციონერის უფლება კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, სელექციონერი ვალდებულია საქპატენტში განაცხადის შეტანის დღიდან 12 თვის ვადაში წარადგინოს განაცხადი UPOV-ის სხვა ქვეყანაში.

რას ნიშნავს სელექციონერის განსაკუთრებული უფლება?

სელექციონერს აქვს უფლება, თავად განახორციელოს, ნება დართოს ან/და აკრძალოს:

- ახალი ჯიშის წარმოება კვლავწარმოება/აღწარმოება;
- გამრავლების მიზნით კონდიციამდე დაყვანა;
- გასაყიდად შეთავაზება, გასხვისება ან უფლებების სხვა სახით გადაცემა;
- ექსპორტი, იმპორტი ან შენახვა ჩამოთვლილი მიზნებით.
- აწარმოოს მოწმობით დაცული ახალი ჯიში ან სხვა პირზე გასცეს ასეთი ჯიშის კომერციული მიზნით გამოყენების ლიცენზია.

შესაძლებელია თუ არა სელექციონერის განსაკუთრებული უფლების შეზღუდვა?

ნებისმიერ პირს აქვს უფლება:

- ახალი ჯიშის პირადი მოხმარების ან არაკომერციული მიზნით გამოყენებაზე;
- ექსპერიმენტული ან სასელექციო მიზნით გამოყენებაზე.

როგორია სელექციონერის განსაკუთრებული უფლების მოქმედების ვადა და არეალი?

მცენარის ახალ ჯიშზე რეგისტრაციის მოქმედების ვადა 25 წელია, ხოლო ვაზის, მერქნიანი, ხეხილოვანი, დეკორატიული, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების, ტყის ჯიშებისათვის (მათ შორის, საძირეებისათვის) და ცხოველის ახალ ჯიშზე – 30 წელი. განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

რა არის საჭირო საქართველოში ახალი ჯიშის რეგისტრაციისა და მოწმობის მისაღებად?

განაცხადი ერთ ახალ ჯიშზე უნდა წარედგინოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- სელექციონერის სახელსა და მისამართს;
- ახალი ჯიშის დასახელებას, აღწერილობასა და ფოტოგამოსახულებას;
- წარმომადგენლობის დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მეშვეობით საგანაცხადო მასალების შეტანის თარიღიდან ერთი თვის ვადაში;
- უფლებამონაცვლის დამადასტურებელ საბუთს, თუ განაცხადი შეტანილია უფლებამონაცვლის მიერ საგანაცხადო მასალების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის დამადასტურებელი დოკუმენტი სელექციონერმა უნდა წარმოადგინოს საგანაცხადო მასალების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნების შემდეგ ერთი თვის ვადაში.

რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტი“ განცხადება მიიღება სახელმწიფო ენაზე. სხვა საგანაცხადო მასალის წარდგენა შეიძლება ნებისმიერ სხვა ენაზე. ამასთან, საგანაცხადო მასალის უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელმა 3 თვის ვადაში უნდა წარმოადგინოს მისი ქართული თარგმანი.

რა პროცედურებს ითვალისწინებს ახალი ჯიშის რეგისტრაცია და მოწმობის გაცემა?

- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რაც, განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებასთან ერთად, გულისხმობს საგანაცხადო მასალების გაფორმების სისრულის შემოწმებას;
- მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას;
- წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე სიახლის, განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შემოწმებას;
- ახალი ჯიშის გამოცდის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ საქპატენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და მოწმობის გაცემას;
- ოფიციალურ ბიულეტენში ახალი ჯიშისა და სელექციონერის შესახებ მონაცემების, ჯიშის ფოტოგამოსახულებისა და აღწერილობის გამოქვეყნებას.

რა შემთხვევაში მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება ახალი ჯიშის რეგისტრაციის თაობაზე?

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება თუ:

- განაცხადი არ აკმაყოფილებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის პირობებს;
- თუ ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს (სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება და სტაბილურობა).

რისი უფლება აქვს განმცხადებელს?

- მოითხოვოს ახალი ჯიშის განაცხადის განხილვის პროცედურული ვადების გაგრძელება ან, მის მიერ ამ ვადების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნული ვადების დადგენილი წესით აღდგენა;
- განაცხადის განხილვის ნებისმიერ საფეხურზე გამოითხოვოს განაცხადი ან მოითხოვოს განაცხადზე საქმის წარმოების შეწყვეტა;
- მოითხოვოს, რომ მისი სახელი არ გამოქვეყნდეს.

რა არის ახალი ჯიშის რეგისტრაციის ძალადაკარგულად და/ან ბათილად ცნობის საფუძველი?

ბათილად იქნება ცნობილი რეგისტრაციის დღიდან, თუ დადგინდა რომ:

- გადაწყვეტილების მიღების დროს ჯიშს არ გააჩნდა სიახლე ან/და განსხვავებულობა, ან/და ერთგვაროვნება ან/და სტაბილურობა;
- სელექციონერის უფლება მიენიჭა არაუფლებამოსილ პირს.

რეგისტრაცია ძალადაკარგულად იქნება ცნობილი:

- თუ დადგინდა, რომ ჯიში აღარ აკმაყოფილებს ერთ-გვაროვნების და/ან სტაბილურობის მოთხოვნებს;
- სელექციონერმა არ შესთავაზა სხვა შესაბამისი დასახელება, გაუქმებული დასახელების ნაცვლად;
- სელექციონერის მიერ საქპატენტში წერილობითი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე.

როგორ უნდა მიიღოს საქართველოს მოქალაქემ სელექციონერის უფლება ახალ ჯიშზე სხვა ქვეყანაში?

განაცხადი წარადგინოს უშუალოდ იმ ქვეყნის შესაბამის უწყებაში, სადაც მას სურს მოიპოვოს დაცვა.

რა არეგულირებს სელექციონერის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში?

- საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი;
- “ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ” საქართველოს კანონი (2010წ.);
- მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV) (საქართველო წევრია 2008 წლის 29 ნოემბრიდან);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1891-ე მუხლი.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტი“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge